

საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება



GEORGIAN BEEKEEPERS UNION

ფუტკრის რძე



ფუტკრის რძის უნიკალურობა მის შემადგენლობაში მდგომარეობს და დამოკიდებულია ფუტკრის ჯიშზე, კლიმატსა და საფუტკრის ადგილმდებარეობაზე: წყალი 57–70%, ცილები 17–45%, ცხიმები 3.5–19%, ნახშირწყლები 18–52% და 3.5–19% მინერალური ნივთიერებები. ფუტკრის რძის ცილები, ადამიანის სისხლის პლაზმის ანალოგიურია, რაც განაპირობებს მის 100% შეთვისებას. გარდა ამისა, ის თითქმის ყველა ვიტამინს შეიცავს. მას ანტიბაქტერიული, ანტივირუსული და ანტირადიაციული მოქმედება აქვს; ასტიმულირებს ზრდის პროცესებს და არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას. ფუტკრის რძე ადამიანების სამკურნალოდ გამოიყენება.

ფუტკრის რძეს მუშა ფუტკრები გამოიმუშავენ ჰიპოფარინგიული ჯირკვლების მეშვეობით. დედა ფუტკარს რძით მთელი ცხოვრების მანძილზე კვებავენ. სწორედ ამ საკვების დამსახურებაა, რომ დედა ფუტკარი 3-7 წელი ცხოვრობს. სიცოცხლის ასეთი ხანგრძლივობა 40-ჯერ აღემატება მუშა ფუტკრისას, რომელიც საშუალოდ 40 დღე ცოცხლობს.

ფუტკრის რძე 100-ზე მეტ მინერალურ ნივთიერებას და ვიტამინებს. მინერალებიდან K (განსაკუთრებით დიდი რაოდენობით), Ca, Na, Zn, Fe, Cu, Mn. ვიტამინებიდან შეიცავს: ტაიმინს B1, რიბოფლავინს B2, პანტოტენის მჟავას B3, პირიდოქსინს B6, ნიცინს PP, ბიოტინს H, ფოლიუმის მჟავას. გარდა ამისა, რძეში აღმოჩენილია ინსულინის მსგავსი ნივთიერება, პეტეროციკლური ნივთიერებები: ბიოპტერინი და ნეოპტერინი, თავისუფალი ნუკლეოტიდები და ნუკლეინ მჟავები, აცეტილქოლინი. ვრცელი ვიტამინო-მინერალური კომპლექსის წყალობით, ფუტკრის რძე საუკეთესო ბიოსტიმულატორია, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლის პროცესებს, აძლიერებს ფერმენტულ აქტიურობას, აუმჯობესებს ქსოვილების კვებას, ხსნის ანგიოსპაზმს, ამცირებს ქოლესტერინისა და ტრიგლიცერიდების შემცველობას სისხლში, არის საუკეთესო ადაპტოგენი, ზრდის ორგანიზმის ტოლერანტობას ფიზიკური და ფსიქიური დატვირთვის მიმართ აქვს გამოხატული იმუნომოდულატორული თვისებები.

ფუტკრის რძე აუმჯობესებს მხედველობას, მესხიერებას, ახდენს შიდა სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციის სტიმულირებას, აახალგაზრდავებს ორგანიზმს, ხელს უშლის ყოველგვარი სიმსივნების და ანთებითი პროცესების წარმოქმნას. ამცირებს შაქრის დონეს სისხლში, აქვს ბაქტერიოციდული და ანტივირუსული ზემოქმედება, აუმჯობესებს საჭმლის მომნელებელ ფუნქციას, ახდენს სისხლის არტერიული წნევის რეგულირებას, ასუსტებს რადიოაქტიური გამოსხივების შედეგად მიღებულ მავნე ზემოქმედებას, აჩქარებს ორგანიზმიდან მავნე შხამების გამოდევნას, ახდენს ანტისპაზმურ ზემოქმედებას, აუმჯობესებს იმუნურ სისტემას, აჩქარებს ბავშვების ზრდის პროცესს და სხვა.



ადამიანის სხეულში ფუტკრის რძე ანახლებს სისხლს, კერძოდ, ადამიანის სისხლის ჰემოგლობინის რაოდენობა იზრდება და ხდება მისი განახლება. ფუტკრის რძე ასევე წმენდს სისხლს ქოლესტერინისგან, ეს იწვევს სისხლძარღვებისა და კაპილარების გასუფთავებას, რაც ხელს უშლის უჭრედების დაღუპვას და ნაოჭების წარმოქმნას ანუ ხელს უწყობს გაახალგაზრდავების პროცესს.

მონაცემები ფუტკრის რძეზე

სასარგებლო ჯანმრთელობისათვის	ფუტკრის რძის აქტიურობა	დაკვირვება	ავტორები
რეპროდუქციული მოვლა	ანტიოქსიდანტი	ცხოველები	El-Hanoun 2012
	ჰორმონალური ბალანსი	ცხოველები	Imai et al. 2012
	ანტიოქსიდანტური აგენტი	ცხოველები	Najafi et al. 2014
	პრემენსტრუალური სინდრომის შემცირება	ადამიანი	Taavoni et al. 2014
	პოსტმენოპაუზის მკურნალობა	ადამიანი	Seyyedi et al. 2016
ნეიროდეგენერაციული და დაბერების დაავადება	სიცოცხლის ხანგრძლივობის ხელშეწყობა	ცხოველები	Honda et al. 2011
	ალცჰეიმერის დაავადება	ცხოველები	Zamani et al. 2012
	ფსიქიკური პრობლემები	ადამიანები	Morita et al. 2012
ფრილოზის უხეობა	ფიბრობლასტის მიგრაცია	ცხოველები	Kim et al. 2010
	კოლაგენის წარმოება	ადამიანები	Park et al. 2011
	ვასოდილატაცია	ადამიანები	Slavash et al. 2015

მასალა მომზადებულია ვლადიმერ ვარდოსანიძის მიერ

საქართველოს მეფუტკრეთა
გაერთიანება



თბილისი, დიდუბის რაიონი,
აკ. წერეთლის გამზირი, N142
+995 555 698 339 / geobeekeepers@gmail.com
WWW.GEOBEEKEEPERS.GE
WWW.FACEBOOK.COM/GEOBEEKEEPERS.GE